

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თათია ლომსაძე

სამაგისტრო ნაშრომი

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვა საჯარო მმართველობის  
პროცესში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი

ოთარ ჩახუნაშვილი

თბილისი 2019

**სარჩევი**

**შესავალი**..... 1

**1. პერსონალური მონაცემები, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ვრცელი კონცეფციის ნაწილი თუ დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლება**..... 3

    1.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი.....3

    1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების არსი .....6

    1.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ურთიერთმიმართება .....10

**2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები** ..... 14

    2.1. უფლებაში ჩარევის საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით .....15

    2.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის მიხედვით.....16

    2.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შიდასახელმწიფოებრივი საფუძვლები .....17

**3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა საჯარო მმართველობის პროცესში** ..... 20

    3.1. საჯარო მმართველობის არსი .....20

    3.3. ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დამუშავება .....34

    3.4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული პერსონალური მონაცემები .....38

**დასკვნა** ..... 44

## შესავალი

პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების, უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც ახლა ქმნიან და სრულყოფენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, არამედ მდიდარი სამართლებრივი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც.<sup>1</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვა არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად და დინამიკურად განვითარებადი სამართლის დარგი, რომელიც ინტენსიურად ვითარდება როგორც ცალკე აღებული ქვეყნის ფარგლებში, ისე რეგიონალურ დონეზეც - განსაკუთრებით კი, ევროპის საბჭოსა და ევროპის თანამეგობრობის სამოქმედო სივრცეში.

„პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფცია ტექნიკური პროგრესის და განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა. თანამედროვე სამყაროში, სადაც წაშლილია ქვეყნებს შორის საზღვრები, დროისა და სივრცის შეგრძნება, მაქსიმალურად გამარტივებული და გაიაფებულია კომუნიკაცია, სოციალური ცხოვრება, ყოველდღიური საქმიანობა, პროფესიული მოღვაწეობა წარმოდგენილია თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობებისა და ინტერნეტის გარეშე, ადამიანის პირადი სივრცე უფრო და უფრო იზღუდება და პირადი ინფორმაციის განკარგვის ბერკეტები მნიშვნელოვნად მცირდება. შესაბამისად, ინფორმაციული ომის პირობებში იზრდება პირთა შესახებ ინფორმაციის მარტივად მოძიებისა და მისი არამართლზომიერად გამოყენების რისკები.“<sup>2</sup>

საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ რაც საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მიზნით, 2011 წლის მიწურულს, კერძოდ, 2011 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. აღნიშნულმა კანონმა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში, პირველად დაამკვიდრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, როგორც მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველი პირის ინსტიტუტი, რომელიც 2013 წლიდან აქტიურად მოქმედებს და მისი საქმიანობის შედეგები უკვე სახეზეა.

გარდა ამისა, 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“

<sup>1</sup> კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. სტატიათა კრებული, (რედ. კონსტანტინე კორკელია) თბ., 2010, 7.

<sup>2</sup> საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 166.

შეთანხმებას. შეთანხმების მე-14 მუხლის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა წინამდებარე შეთანხმების I დანართში მითითებული ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად.<sup>3</sup>

საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი კვლავ რჩება გამოწვევად, ვინაიდან, კანონმდებლობაში არსებობს სადავო ნორმები, რომლების იძლევიან პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების არათანაზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული პერსონალური მონაცემების, ამომრჩეველთა სიისა და თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ევროპული კანონმდებლობის საფუძველზე, განსაზღვროს პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების არსი, მისი შეზღუდვის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლები, ასევე, საქართველოში საჯარო მმართველობის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით არსებული პრობლემატური საკითხების დადგენა და მათი მოგვარების გზების მოძიება.

ნაშრომი შესრულებულია ანალიტიკური და შედარებითი მეთოდის გამოყენებით. შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი და მათი ურთიერთმიმართება. ნაშრომის მეორე თავის მიზანია უფლების შეზღუდვის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისოსამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა, ხოლო მესამე თავი მთლიანად ეთმობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული ინფორმაციის/დოკუმენტაციის, ამომრჩეველთა სიისა და თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობასთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს და მათი მოგვარების გზებს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები და დასმული პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური საშუალებები.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის, დახვეწისა და უკეთესი პრაქტიკის შექმნისათვის, წარმოდგენილი კვლევა სწორედ დროული და აქტუალურია.

<sup>3</sup> „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის” 2014, 31 <<http://mfa.gov.ge>>, მოძიების თარიღი: [01.07.2019].

# 1. პერსონალური მონაცემები, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ვრცელი კონცეფციის ნაწილი თუ დამოუკიდებელი ფუნდამენტური უფლება

## 1.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი

„ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი უფლება არის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსობრივი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ცხოვრების ინტიმურ, კერძო და სოციალურ სფეროებს.“<sup>4</sup> ძირითადი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით, როგორც არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (მუხლი 8) და გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 17), პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ძირითადი უფლება, რომლის დაცვის უზრუნველყოფა თითოეული სახელმწიფოს ვალდებულებაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ადამიანის ავტონომიურობას, დამოუკიდებელი განვითარებისა და მისი ღირსების დაცვის წინაპირობად მიიჩნევს.<sup>5</sup>

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განმტკიცება საერთაშორისო სამართლის დონეზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო. თავდაპირველად აღნიშნული უფლების შინაარსი განისაზღვრა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით, რომლის მიხედვითაც არავის არ აქვს უფლება თვითნებურად ჩაერიოს ადამიანის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, შეიჭრას მის საცხოვრებელ ბინაში და გაეცნოს პირადი ხასიათის კორესპონდენციას. ხოლო შემდგომ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ მე-8 მუხლით განამტკიცა, რომ ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. აღნიშნული უფლების დაცვის ფარგლები და შედეგები განმარტებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილებებით სასამართლო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის საკითხს აფასებს შემდეგი ტესტი: უფლებაში ჩარევას ჰქონდა თუ არა ლეგიტიმური საფუძველი, რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა

<sup>4</sup> *კობახიძე ი.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) თბ., 2013, 180.

<sup>5</sup> *ქალდანი თ., სარიშვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია კ.) 2016, 147.

და გამოყენებულ იქნა თუ არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება.<sup>6</sup>

„პირადი ცხოვრების კონცეფციის ფართოდ ინტერპრეტირების შესაძლებლობიდან გამომდინარე, წლების განმავლობაში სწორედ პირადი ცხოვრების ცნებით ხდებოდა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევების დაფარვა.“<sup>7</sup>

რაც შეეხება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, ვინაიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციაში სხვადასხვა მუხლითაა დაცული (მაგალითად: მე-16, მე-20, 36-ე, 41-ე მუხლები).<sup>8</sup>

„საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ისეთი სიკეთების ხელშეუხებლობას, როგორცაა ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით, ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება. ჩამონათვალი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია ადამიანის იზოლირებულ სფეროზე, რაზედაც ყველას არა აქვს წვდომა.“<sup>9</sup>

კონსტიტუციის მე-20 მუხლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ასპექტი. ეს უკანასკნელი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად, უზრუნველყოს პიროვნების დაცვა. სასამართლომ განაცხადა, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უზრუნველყოფს კონსტიტუციის ამავე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებები: ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემშლელი გარემოებების, შეზღუდვების უგულებელყოფას, აღკვეთას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობაში და, შესაბამისად,

<sup>6</sup> *Hustinx P.* "EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation" 2014, 3, <[https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/speeches-articles/eu-data-protection-law-review-directive\\_en](https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/speeches-articles/eu-data-protection-law-review-directive_en)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>7</sup> *საგინაშვილი ნ.*, პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 176-177.

<sup>8</sup> *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 188, <[file:///C:/Users/TLOMSADZE/Downloads/book\\_2013.pdf](file:///C:/Users/TLOMSADZE/Downloads/book_2013.pdf)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>9</sup> იქვე, 189.

უზრუნველყოს პიროვნების დაცვა, მის პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ან თანამდებობის პირების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან“.<sup>10</sup> კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად.<sup>11</sup>

პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის კერძო სფეროს დაცვას მასში სხვა პირების ჩარევისაგან. რთული და, ალბათ შეუძლებელია, პირადი ცხოვრების კონცეფციის ამომწურავად განსაზღვრა საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არასოდეს განუსაზღვრავს ამომწურავად პირადი ცხოვრების კონცეფცია. საქმეზე – კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom)– ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებებს, იგი უშვებს ამ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას. მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, რომელიც ძირითადად პირად ცხოვრებასა და მიმოწერის ხელშეუხებლობას ეხება, ითვალისწინებს, რომ აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მსგავს დებულებას, რომლის მიხედვით საცხოვრებლის ხელშეუხებლობა შეიძლება შეიზღუდოს, თუ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.<sup>13</sup>

მართალია, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები, მან თითოეული ასეთი შეზღუდვა უნდა გაამართლოს. სახელმწიფომ უნდა შეადაროს, აწონ-დაწონოს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს და დაადგინოს, კონკრეტულ გარემოებაში რომელი მხარის უფლებები და ინტერესები იმსახურებს უფრო მეტად დაცვას.<sup>14</sup>

<sup>10</sup> ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, 189-190 <[file:///C:/Users/TLOMSADZE/Downloads/book\\_2013.pdf](file:///C:/Users/TLOMSADZE/Downloads/book_2013.pdf)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>11</sup> კორკელია კ., პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა - ტომი 7, №1, თბ., 2004, 80.

<sup>12</sup> იქვე, 78-79.

<sup>13</sup> იქვე, 102-103.

<sup>14</sup> იქვე, 112.



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრების ფართო და მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი კონკრეტული და ამომწურავი განმარტება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც თავის გადაწყვეტილებებში მიუთითებს ამ უფლების სრულად განმარტების შეუძლებლობაზე - სასამართლოს არ მიაჩნია აუცილებლად დაშესაძებლად, ამომწურავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების შინაარსი.<sup>15</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იმ ძირითად უფლებათაგანია, რომელიც ყველაზე ახლოს დგას პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ქრილში განიხილავს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებს.

## 1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების არსი

პერსონალური მონაცემების დაცვის კონცეფცია დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ განვითარდა, იმ საფუძველით, რომ დაეცვა ინდივიდები მათთან დაკავშირებული მონაცემების არამართლზომიერი გამოყენებისაგან. აღსანიშნავია, რომ კონცეფციის შექმნის მიზანი არ ყოფილა პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვა ან ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების შეზღუდვა, არამედ - პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში მათი დაცვისათვის აუცილებელი მექანიზმების შექმნა.<sup>16</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების ობიექტური მიზანია არა მონაცემთა დამუშავების აკრძალვა, არამედ მოქალაქეების დაცვა მონაცემთა არაკანონიერი მოპოვების, შენახვისა და გამოყენებისგან. შესაბამისად, სახელმწიფოთა მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვას არ აქვს ამკრძალავი ხასიათი, რაც მონაცემთა მფლობელებს უფლებას აძლევს, კანონის მოთხოვნათა დაცვით, დაამუშაონ აღნიშნული მონაცემები.<sup>17</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის ჩამოყალიბების ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ მივიდა ევროპის საბჭო იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სჭირდებოდა დამატება/დახვეწა, რათა შესაბამისობაში

<sup>15</sup> Case of Niemietz v. Germany (App. 13710/88) 16 December 1992, ¶29.

<sup>16</sup> *Hustinx P.* "EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation" 2014, 1, <[https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/speeches-articles/eu-data-protection-law-review-directive\\_en](https://edps.europa.eu/data-protection/our-work/publications/speeches-articles/eu-data-protection-law-review-directive_en)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>17</sup> *DE HERT P. & GUTWIRTH S.*, Data Protection in the Case Law of Strasbourg and Luxembourg: Constitutionalisation in Action, Dordrecht, 2009, 1-2. < [https://works.bepress.com/serge\\_gutwirth/10/](https://works.bepress.com/serge_gutwirth/10/)> მოძიების თარიღი [01.07.2019].



ყოფილიყო მსოფლიოში მიმდინარე ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ და დინამიკურ განვითარებასთან.<sup>18</sup> ამ დასკვნის გაკეთებას უკავშირდება ევროპის საბჭოს მიერ, 1981 წელს, მონაცემთა დაცვის კონვენციის შემუშავება.

„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები, რომლებიც ხელმოსაწერად ღიაა არამხოლოდ ევროპის საბჭოს სახელმწიფოებისათვის, მიიჩნევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტად.<sup>19</sup>

„108-ე კონვენცია არის პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იცავს ფიზიკურ პირებს მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში და მიზნად ისახავს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას. კონვენცია ადგენს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცესის მარეგულირებელ პრინციპებს და ცალკე გამოყოფს პირის რასობრივ, ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ შეხედულებასა და სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მონაცემთა დაცვის გარანტიებს. იგი, ასევე, განსაზღვრავს ინდივიდის უფლებას, იცოდეს, თუ რა მონაცემები მუშავდება მის შესახებ. კონვენციით ასევე დადგენილია, რომ კონვენციის მოქმედება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აღმატებული ინტერესის (სახელმწიფო უსაფრთხოება, თავდაცვა) არსებობისას.“<sup>20</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები. მაგალითად რეკომენდაცია საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის შესახებ.<sup>21</sup>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი ნორმები შემუშავებულია ევროკავშირის ფარგლებშიც. კერძოდ, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია ცალკე მუხლს (8) ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით და ადგენს, რომ პერსონალური მონაცემების უნდა დამუშავდეს სამართლიანად, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნისათვის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად. ქარტია ასევე მიუთითებს,

---

<sup>18</sup> *DE HERT P. & GUTWIRTH S.*, Data Protection in the Case Law of Strasbourg and Luxembourg: Constitutionalisation in Action, Dordrecht, 2009, 3 < [https://works.bepress.com/serge\\_gutwirth/10/](https://works.bepress.com/serge_gutwirth/10/)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>19</sup> *ჯალდანი თ., სარიშვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია კ.) 2016, 147.

<sup>20</sup> იქვე, 148

<sup>21</sup> იქვე.

რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე კონტროლი უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.<sup>22</sup>

ამასთან, 2018 წლის 25 მაისიდან ამოქმედდა ევროპის პარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის №2016/679 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, რომელმაც ჩაანაცვლა №95/46/EC დირექტივა და ასევე ჩაანაცვლებს ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონებს, რადგან, მას დირექტივისაგან განსხვავებით, პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს.<sup>23</sup>

ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ვრცელდება ევროკავშირში რეგისტრირებულ ნებისმიერ ორგანიზაციაზე, რომელიც საქმიანობის ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციებზე, რეგულაცია ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ფილიალი/წარმომადგენლობა ევროკავშირის ტერიტორიაზე ან:

- ამუშავებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი პირების მონაცემებს მათთვის მომსახურების ან პროდუქციის შეთავაზების მიზნით, იმის მიუხედავად, ფასიანია თუ არა ეს მომსახურება ან პროდუქტი;
- მონიტორინგს უწევენ პირთა ქცევას ევროკავშირის ტერიტორიაზე.<sup>24</sup>

რეგულაციის გავრცელების საკითხის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: აქვს თუ არა ორგანიზაციას ვებგვერდი ევროკავშირის რომელიმე ოფიციალურ ენაზე, პროდუქციის/მომსახურების ფასი დადგენილია თუ არა ევროკავშირში მოქმედ ვალუტაში, სთავაზობს თუ არა ორგანიზაცია მომხმარებლებს მიტანის სერვისს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე და სხვა. ქცევის მონიტორინგად კი შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფ პირთა ქმედებებზე ონლაინ დაკვირვება მათი ინტერესებისა და დამოკიდებულებების შეფასების მიზნით; მაგალითად, თუ დეველოპერი მის მიერ შექმნილი აპლიკაციის მომხმარებელთა მონაცემებს მიზნობრივი მარკეტინგისთვის იყენებს, მასზე შესაძლოა გავრცელდეს რეგულაციის მოქმედება.<sup>25</sup>

თუ ევროკავშირის გარეთ რეგისტრირებულ ორგანიზაციაზე ვრცელდება რეგულაცია, მან უნდა დანიშნოს წარმომადგენელი ევროკავშირში. წარმომადგენლის დანიშვნის ვალდებულებისგან თავისუფლდებიან:

---

<sup>22</sup> *კლდანი თ.*, *სარიბვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია კ.) 2016, 147.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინპექტორის აპარატი, რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის შესახებ, 2018, 3, <<https://personaldata.ge/cdn/2018/11/GDPR.pdf>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>25</sup> იქვე.

- საჯარო უწყებები;
- ის ორგანიზაციები, რომლებიც იშვიათად (ცალკეულ შემთხვევებში) ამუშავებენ ევროკავშირში მყოფი პირების პერსონალურ მონაცემებს, დიდი მოცულობით არ ამუშავებენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და დამუშავება დიდი ალბათობით არ შეუქმნის საფრთხეს ინდივიდთა უფლებებს.<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ როგორც ევროპული კავშირის, ისე ევროპის საბჭოს კანონმდებლობის თანახმად, „პერსონალური მონაცემი განმარტებულია, როგორც ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ანუ ინფორმაცია პირის შესახებ, რომლის ვინაობა ცნობილია ან შეიძლება დადგინდეს დამატებითი ინფორმაციის მოძიების შედეგად.“<sup>27</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პერსონალური მონაცემების ცნება ფართოდ განიმარტება და პირობითად მოიცავს ოთხ ელემენტს.

„პირველი ელემენტი - „ნებისმიერი ინფორმაცია“: აქ იგულისხმება ნებისმიერი სახის, ფორმატის, შინაარსის ინფორმაცია. შესაბამისად, პერსონალური მონაცემების ცნება მოიცავს როგორც ობიექტურ ინფორმაციას პირის შესახებ, ისე სუბიექტურ ინფორმაციას - მოსაზრებებს, შეფასებებს.“<sup>28</sup>

„მეორე ელემენტი - „რომელიც უკავშირდება“ ეს ინფორმაცია პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება პირს. საგულისხმოა, რომ ცალკე აღებული ინფორმაცია არ არის პერსონალური მონაცემი, არამედ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ ინდივიდს და მისი იდენტიფიცირების საშუალებას იძლეოდეს.“<sup>29</sup>

„მესამე ელემენტი - იდენტიფიცირება: ეს ინფორმაცია უკავშირდება კონკრეტულ პირს, რომელიც იდენტიფიცირებულია ან იდენტიფიცირებადია. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნით. იდენტიფიცირება გულისხმობს კონკრეტული პიროვნების განსხვავებას, გამორჩევას სხვა პირებისაგან. იდენტიფიცირება შესაძლოა განხორციელდეს პირდაპირ ან არაპირდაპირ. პირდაპირია იდენტიფიცირება, თუ პერსონალური მონაცემების

<sup>26</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის შესახებ, 2018, 4, <<https://personaldata.ge/cdn/2018/11/GDPR.pdf>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>27</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 83, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>28</sup> საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 170.

<sup>29</sup> იქვე, 171.

პირველადი გაცნობისას შეიძლება კონკრეტული პირის ამოცნობა.<sup>30</sup> ხოლო, არაპირდაპირია იდენტიფიცირება, როდესაც პერსონალური მონაცემების პირველადი გაცნობისას შეიძლება - სხვა მახასიათებლების/იდენტიფიკატორების დამატების შემთხვევაში.<sup>31</sup>

„მეოთხე ელემენტი - „ფიზიკურ პირს“: ეს ინფორმაცია უკავშირდება ნებისმიერ ფიზიკურ და არა იურიდიულ პირს.<sup>32</sup>

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Bernh Larsen Holding AS and Others v. Norway კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში იმსჯელა იურიდიული პირის ადგილსამყოფელისა და კორესპოდენციის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე.<sup>33</sup>

რაც შეეხება საქართველოში არსებულ რეგულაციას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული კანონი მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება.<sup>34</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის სამართალი დღესდღეობით სწრაფად და დინამიკურად განვითარებადი სამართლის დარგია, რომლის აქტუალურობას განაპირობებს მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური და ინფორმაციული სწრაფი განვითარება, ასევე, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სწრაფვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისკენ.

### **1.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ურთიერთმიმართება**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და პერსონალურ მონაცემთა დაცვა ახლოს მყოფი, მაგრამ, ამასთანავე განსხვავებული უფლებებია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების განმტკიცება ევროპულ სამართალში დაიწყო 1948 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე, როგორც დამოუკიდებელ უფლებაზე ზრუნვა ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს 70-იანი წლებიდან, როცა ცხადი გახდა, რომ

<sup>30</sup> საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 171-172.

<sup>31</sup> იქვე, 172.

<sup>32</sup> იქვე, 173.

<sup>33</sup> *Case of Bernh Larsen Holding AS and Others v. Norway* (App. No 24117/08) 14 March 2013.

<sup>34</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 (ა) მუხლი.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის პირად ცხოვრებას.<sup>35</sup>

„ისტორიულად, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილებოდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ფორმატში, ვინაიდან, შინაარსობრივად ყველაზე ახლოს სწორედ ამ უფლებასთან დგას და თავად უფლების მკაცრად განსაზღვრული სამოქმედო სფეროს არარსებობა იძლეოდა ამის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, მაგალითად, საქმის -კლასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (Klass and Others v. Germany) - მიხედვით, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ელ. ფოსტის, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების ფარული მიყურადების განხორციელების შემდგომ ამის შესახებ სუბიექტის ინფორმირებასა და მის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობას გერმანიაში. ამ საქმეზე სასამართლოს პერსონალური მონაცემების ტერმინი საერთოდ არ უხსენებია, მაგრამ ცალსახაა, რომ კონკრეტულ იდენტიფიცირებულ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების შემთხვევები განიხილა პირადი ცხოვრების პატივისცემის ფორმატში.“<sup>36</sup>

საქმე ზ. ფინეთის წინააღმდეგ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა პერსონალური მონაცემების ტერმინი კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში და მე-8 მუხლით გარანტირებული დაცვა განმცხადებლის ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით გაამყარა ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის დებულებებზე მითითებით. მეტიც, საქმეზე - ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ სასამართლომ განაცხადა, რომ მე-8 მუხლში პირადი ცხოვრების ცნების ფართო განმარტება შეესაბამება ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციას. ევროპულმა სასამართლომ პერსონალური მონაცემების დეფინიციასა და მე-8 მუხლის ფართო განმარტებაზე ხაზგასმით, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის პერსონალური მონაცემების დაცვას განიხილავს პირადი ცხოვრების ცნების ფორმატში.<sup>37</sup>

პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების მჭიდრო კავშირის მიუხედავად 1970-იანი წლებიდან, ვინაიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ გაზარდა პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენების რისკები, საჭირო გახდა უფრო დეტალური, დახვეწილი მექანიზმის

<sup>35</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 18, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>36</sup> საგინაშვილი ნ., პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 180.

<sup>37</sup> იქვე, 180-181.

არსებობა, ვიდრე ეს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის ზოგადი დებულება იყო.<sup>38</sup>

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული პერსონალურ მონაცემთა დაცვა ვითარდება, როგორც დამოუკიდებელი ღირებულება. ევროპული სამართლის სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება აღიარებულ იქნა დამოუკიდებელ ძირითად უფლებად, რომელიც განცალკევებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფუნდამენტური უფლებისაგან (ძირითად უფლებათა ქარტიის მე-7 და მე-8 მუხლები). აღსანიშნავია, რომ ეს გამიჯვნა წარმოშობს კითხვებს ამ ორი უფლების ურთიერთმიმართებისა და განსხვავებების შესახებ.<sup>39</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება მჭიდროდ დაკავშირებული უფლებებია. ორივე მათგანის მიზანია იდენტური ღირებულებების დაცვა, კერძოდ, ინდივიდის დამოუკიდებლობისა და ღირსების დაცვა, მათთვის პირადი სივრცის შექმნის გზით, სადაც შესაძლებლობა ექნებათ პიროვნულად განვითარდნენ, განავითარონ თავიანთი აზრები და შეხედულებები.<sup>40</sup>

მიუხედავად მჭიდრო კავშირისა, აღნიშნული უფლებები განსხვავდება მათი ფორმულირებებითა და მოქმედების არეალით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს პირად ცხოვრებაში ჩარევის ზოგად აკრძალვას, რომელიც შეიძლება გამართლდეს კონკრეტულ შემთხვევებში. ხოლო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება მიიჩნევა უფრო თანამედროვე და აქტუალურ უფლებად.<sup>41</sup>

ადამიანის უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლი არა მარტო განამტკიცებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონცეფციას, არამედ, განსაზღვრავს ამ უფლებასთან დაკავშირებულ ძირითად ღირებულებებს. აღნიშნული მუხლი განამტკიცებს, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, უნდა ემსახურებოდეს განსაზღვრულ მიზანს და უნდა ეფუძნებოდეს ადამიანურ საჭიროებას ან/და კანონით განსაზღვრულ საფუძვლებს.<sup>42</sup>

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა ნებისმიერი სახით დამუშავება საჭიროებს სათანადო დაცვას, შესაბამისად პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების გამოყენების აუცილებლობა დგება პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით

---

<sup>38</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 18-19, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>39</sup> იქვე, 18-19.

<sup>40</sup> იქვე, 19.

<sup>41</sup> იქვე.

<sup>42</sup> იქვე.



დამუშავებისას. მონაცემთა დაცვა ეხება ნებისმიერი სახის პერსონალურ მონაცემს და ამ მონაცემთა დამუშავებას, მიუხედავად მათი ზემოქმედებისა პირად ცხოვრებაზე.<sup>43</sup>

შესაბამისად, პირველი განსხვავება მდგომარეობს ამ ორი უფლების მოქმედების არეალში. კერძოდ, პირადი ცხოვრების ცნება შესაძლოა არ მოიცავდეს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციას. ხოლო, პერსონალური მონაცემები ზუსტად იმ ინფორმაციას მოიცავს, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირთან. აღნიშნული უფლების მოქმედების ფართო არეალი გამომდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების კონვენციასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივიდან. აღნიშნული დირექტივა და კონვენცია მოხსენიებულია ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლის ახსნა-განმარტებით ბარათში, შესაბამისად აუცილებლად გასათვალისწინებელია.<sup>44</sup>

უფლებათა შორის განსხვავება, ასევე, მდგომარეობს პირთა წრეში, კერძოდ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მოქმედების სფეროდან გამორიცხა იურიდიული პირები, შესაბამისად, მათი უფლებების დაცვა ხორციელდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით და არა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით.<sup>45</sup>

პირადი ცხოვრების პატივისცემისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები განსხვავდება უფლებებში დასაშვები ჩარევის ფარგლების თვალსაზრისითაც. მაგალითად, ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავებულ უნდა იქნენ აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული წესების დაცვით, შესაბამისად, თუ აღნიშნული წესები დაცულია მონაცემთა დამუშავება არ გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებაში ჩარევას. მაგრამ, მიუხედავად ამისა მონაცემების შეგროვება, შენახვა და გამჟღავნება თავისთავად გულისხმობს პირად ცხოვრებაში ჩარევას და საჭიროებს გამართლებას.<sup>46</sup>

ამრიგად, მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია დამოუკიდებელ უფლებებად აღიარებს, პირადი ცხოვრების პატივისცემასა და პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი სამართლებრივი განვითარებაა, მაგრამ, ასევე მნიშვნელოვანია ამ მიდგომის შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით

<sup>43</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 20, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>44</sup> Kokott J., Sobotta K., The distinction between privacy and data protection in the jurisprudence of the CJEU and the ECtHR, International Data Privacy Law, 2013, Vol. 3, No. 4, 225, <[https://www.researchgate.net/publication/275199054\\_The\\_distinction\\_between\\_privacy\\_and\\_data\\_protection\\_in\\_the\\_jurisprudence\\_of\\_the\\_CJEU\\_and\\_the\\_ECtHR](https://www.researchgate.net/publication/275199054_The_distinction_between_privacy_and_data_protection_in_the_jurisprudence_of_the_CJEU_and_the_ECtHR)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>45</sup> იქვე.

<sup>46</sup> იქვე, 226.



განვითარება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს როლი იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენცია შეზღუდული აქვს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის სამოქმედო სფეროთი. ქარტიის მე-8 მუხლის მიმართ არსებული გონივრული მოლოდინი გულისხმობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულირების შემდგომ განვითარებასა და დახვეწას. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს პერსონალური მონაცემების დაცვისთვის დამოუკიდებელი უფლების სტატუსის მინიჭება.<sup>47</sup>

## 2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, შესაბამისად შესაძლოა შეიზღუდოს საზოგადოებრივი ინტერესებისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნიდან გამომდინარე. აღნიშნული უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლსა და ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის 52-ე მუხლის პირველ პუნქტში.

„პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ“ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 27 აპრილის (EU) 2016/679 რეგულაცია განსაზღვრავს, რომ მონაცემთა ნებისმიერი სახით დამუშავება უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი. ფიზიკური პირებისთვის უნდა იყოს ნათელი, რომ ხდება მათთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვება, გამოყენება, გაცნობა ან სხვა სახით დამუშავება. მათთვის ასევე უნდა იყოს ცნობილი, თუ რა მოცულობით ხდება ან მოხდება მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება. გამჭვირვალობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაცია, რომელიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების დამუშავებას, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, ასევე, ნათლად და მარტივი ენით გადმოცემული. კერძოდ, ეს პრინციპი ვრცელდება მონაცემთა სუბიექტებისთვის დამუშავების ვინაობისა და დამუშავების მიზნების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაზე, და დამატებით ინფორმაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალე დამუშავებას და მათ უფლებას მიიღონ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების დადასტურება და დამუშავებული მონაცემები.<sup>48</sup>

<sup>47</sup> *საგინაშვილი ნ.*, პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015, 188-189.

<sup>48</sup> ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია) <<https://personaldata.ge/ka/download/2495>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

## 2.1. უფლებაში ჩარევის საფუძვლები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში, შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვის მიმართაც გამოიყენება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული უფლებაში ჩარევის საფუძვლები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია იწვევდეს მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას, თუმცა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი გაწონასწორებული და შეთავსებული უნდა იქნეს სხვა ლეგიტიმურ ინტერესებთან, იქნება ეს სხვა პირთა ინტერესები (კერძო ინტერესები) თუ, ზოგადად, საზოგადოებრივი (საჯარო) ინტერესები.<sup>49</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სადაც პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ჭრილში, სახელმწიფოს მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დამუშავება და, შესაბამისად, მონაცემთა დაცვის უფლებაში ჩარევა მართლზომიერია შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც ჩარევა არის კანონთან შესაბამისი;
2. როდესაც ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს;
3. როდესაც ჩარევა არის აუცილებელი.

პირველი საფუძველი - კანონთან შესაბამისობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებულ ჩარევას. სასამართლო განმარტავს, რომ იმისთვის, რომ კანონი მიჩნეულ იქნეს უფლებაში ჩარევის გამამართლებელ საფუძვლად, აუცილებელია იყოს განჭვრეტადი, რაც გულისხმობს კანონის ხელმისაწვდომობას და მარტივად აღქმადობას.<sup>50</sup>

მეორე საფუძველი - ლეგიტიმური მიზანი, შესაძლებელია იყოს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კერძო საკუთრების დაცვა, ასევე დანაშაულის თავიდან აცილება. შესაბამისად, ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა იყოს როგორც საჯარო ინტერესის, ისე სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.<sup>51</sup>

<sup>49</sup> ძირითადი უფლებების ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, თარგმანი ინგლისურიდან *მ. გომბისი*, რედ. მ. ბეგიაშვილი 2015, 85.

<sup>50</sup> Amann v. Switzerland, [2000] ECHR, App. no 16188/07, 50. Kopp v. Switzerland, [1998].ECHR, App, no 3224/94, 55. Lordachi and Others v. Moldova. [2009], ECHR, App, no 25198/02.

<sup>51</sup> Peck v. The United Kingdom [2003], ECHR, App, no 44647/98.

მესამე საფუძველი - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით აუცილებლობის ცნება გულისხმობს მომეტებულ საზოგადოებრივ საჭიროებას, კერძოდ, უფლებაში ჩარევა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.<sup>52</sup>

## **2.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვის საფუძველები ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის მიხედვით**

ადამიანის ძირითად უფლებათა ევროპული ქარტია თავისი ფორმულირებებითა და სტრუქტურით განსხვავდება ევროპული კონვენციისაგან, მაშინ, როდესაც კონვენცია განსაზღვრავს უფლებაში ჩარევის (interference) საფუძველებს, ქარტია ადგენს განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის (limitation) საფუძველებს.<sup>53</sup>

ქარტიის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ქარტით განმტკიცებული უფლებების, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების, შეზღუდვის სამართლებრივ საფუძველებს. კერძოდ, ქარტით გათვალისწინებულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია, თუ: აღნიშნული შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით, შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების არსს, პროპორციული და აუცილებელია, ასევე, შეესაბამება გაერთიანების მიერ აღიარებულ საზოგადოებრივ ინტერესებს ან/და აუცილებელია სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>54</sup>

ქარტიის 52-ე მუხლის თანახმად, უფლების შეზღუდვა, რომ მართლზომიერად ჩაითვალოს აუცილებელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა კანონით იყოს გათვალისწინებული. შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ისეთ სამართლებრივ საფუძველს, რომელიც წინასწარ განჭვრეტადი და ინდივიდებისთვის მარტივად გასაგებია. სამართლებრივი საფუძველი, ასევე, ნათლად უნდა განსაზღვრავდეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც გამოყენებული იქნება სახელმწიფო ორგანოების მიერ უფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის ფაქტების დაფიქსირებისას. აღნიშნული განმარტება მსგავსია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული „სამართლებრივი ჩარევის“ კონცეფციისა.<sup>55</sup>

ამასთან, ევროპის სამართლებრივ სივრცეში, ნებისმიერი უფლების შეზღუდვა, რომელიც განმტკიცებულია ძირითად უფლებათა ქარტიაში, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული უფლების არსს. არ შეიძლება უფლება იმდენად შეიზღუდოს, რომ

<sup>52</sup> Leander v. Sweden, [1987], ECHR, App, no 9248/81, 58.

<sup>53</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 42, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>54</sup> იქვე, 43.

<sup>55</sup> იქვე, 42.

გამოიწვიოს უფლების ჩამოშორება მისი შინაარსისგან, შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვა მიჩნეულ უნდა იქნეს არამართლზომიერად.<sup>56</sup>

ქართის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი, ასევე, განსაზღვრავს, რომ უფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული. შეზღუდვის აუცილებლობა უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოებრივი ინტერესებიდან, გამოყენებული საშუალება უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად მზღლუდავი სხვა საშუალებებთან შედარებით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვისას, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისას ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო იყენებს „მკაცრი აუცილებლობის“ ტესტს. თუ უფლების შეზღუდვა არის აუცილებელი, უნდა შემოწმდეს პროპორციულობის ტესტი. პროპორციულობა გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვით მიღებული სიკეთე უნდა აღემატებოდეს უფლების შეზღუდვით დამდგარ ზიანს.<sup>57</sup>

ქართით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის მართლზომიერად მიჩნევისათვის აუცილებელია ეს შეზღუდვა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ (საჯარო) ინტერესსა და აუცილებელი იყოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.<sup>58</sup>

### 2.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შიდასახელმწიფოებრივი საფუძვლები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განასხვავებს მონაცემთა დამუშავების სამ სახეს, ავტომატური დამუშავება გულისხმობს „მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიებით დამუშავებას“,<sup>59</sup> ნახევრად ავტომატური - „მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და ავტომატური საშუალებებით დამუშავებას“,<sup>60</sup> ხოლო რაც შეეხება არაავტომატური საშუალებების მონაცემთა დამუშავებას, მართალია კანონი არ იძლევა შესაბამის განმარტებას, თუმცა არაავტომატურ დამუშავებაში იგულისხმება მონაცემთა მატერიალური ფორმით დამუშავება. ცხადია რომ არაავტომატურ დამუშავებას დაქვემდებარებული ინფორმაცია, ასევე, საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, მით უფრო საქართველოში, სადაც სამწუხაროდ, დიჯიტალიზაცია და მონაცემთა ავტომატური დამუშავება რიგ საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში კვლავ გამოწვევად რჩება. აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ

<sup>56</sup> Handbook on European Data Protection law, 2018, 44, <<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/5b0cfa83-63f3-11e8-ab9c-01aa75ed71a1>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>57</sup> იქვე, 46.

<sup>58</sup> იქვე, 49.

<sup>59</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“, მე-2 მუხლი „ე“ პუნქტი.

<sup>60</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი „ე“ პუნქტი.

სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.<sup>61</sup> შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში პერსონალურ მონაცემთა არაავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული გამონაკლისებიც, თუმცა ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, მინიმუმამდეა დაყვანილი პერსონალური მონაცემის იმგვარი დამუშავების შესაძლებლობა, რომელიც არ გახდება ფაილური სისტემის ნაწილი.

ქართულ კანონმდებლობაში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამუშავება, დასაშვებია, თუ: ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესის დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯარო ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).<sup>62</sup>

კანონი, ასევე, ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია იმისთვის, რომ მონაცემთა დამუშავების პროცესი იყოს კანონიერი. კერძოდ, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები: ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღახავად; ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით; გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის

<sup>61</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>62</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

მისაღწევადაც მუშავდება ისინი; დ) მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს; ე) მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.<sup>63</sup>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სპეციალურ წესებს. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებში იგულისხმება – მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.<sup>64</sup>

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით, ან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს. გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის. დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე. ე) მონაცემები მუშავდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული

<sup>63</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-4 მუხლი.

<sup>64</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი, „ბ“ პუნქტი.

გაერთიანების ან არაკომერციული ორგანიზაციის მიერ ლეგიტიმური საქმიანობის განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავება შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ ამ გაერთიანების/ორგანიზაციის წევრებთან ან პირებთან, რომლებსაც მუდმივი კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან/ორგანიზაციასთან. ვ) ხდება მონაცემთა დამუშავება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოების, მსჯავრდებულის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით. ზ) მონაცემები მუშავდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით. თ) მონაცემები მუშავდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ი) მონაცემები მუშავდება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის. კ) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.<sup>65</sup>

შესაბამისად, იმისთვის, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას კანონი არ დაირღვეს, უნდა არსებობდეს, დამუშავების მინიმუმ ერთი სამართლებრივი საფუძველი მაინც და დაცულ იქნეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული პრინციპები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისათვის უფრო მაღალი სტანდარტს აწესებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელია კანონის მე-4 მუხლით დადგენილი ყველა პრინციპების დაცვა.

### **3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების შეზღუდვა საჯარო მმართველობის პროცესში**

#### **3.1. საჯარო მმართველობის არსი**

„სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ. ხელისუფლების თითოეულ შტოს აქვს საკუთარი ფუნქცია. საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციაა კანონშემოქმედება, სასამართლო ხელისუფლება ახორციელებს მართლმსაჯულებას, ხოლო მმართველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია. თუმცა საჯარო მმართველობა, როგორც ფუნქცია ხორციელდება არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ,

<sup>65</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლი, მე-2 პუნქტი.



არამედ ის გვხვდება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაშიც.<sup>66</sup>

„საჯარო მმართველობის განსაზღვრა – ანუ იმის დადგენა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების თუ რა ნაწილს წარმოადგენს ის – ეფუძნება მის ორგანიზაციულ და მატერიალურ გაგებას, რომელთა მიმართ ლიტერატურაში არსებობს ნეგატიური და პოზიტიური განმარტების მცდელობები. არსებობს ასევე მიდგომა, რომელიც ახდენს საჯარო მმართველობის აღწერას ნაცვლად მისი დეფინიციისა, რომელიც უფრო აპრობირებულია ადმინისტრაციული მეცნიერების სფეროში.“<sup>67</sup>

- „საჯარო მმართველობის ნეგატიური განსაზღვრის მეთოდი „სუბსტრაქციის მეთოდის“ სახელითაც არის ცნობილი, რომელიც ოტო მაიერმა შემოიტანა გერმანულ სამართალში. ამ მეთოდის თანახმად, საჯარო მმართველობა არის „სახელმწიფო ან საჯარო ხელისუფლების სხვა განმახორციელებლის საქმიანობის სფერო, რომელიც არც კანონშემოქმედება და არც მართლმსაჯულება არ არის“. მოგვიანებით ეს მიდგომა მოდიფიცირებულ იქნა ვერნერ თიმეს მიერ, რომელმაც საჯარო მმართველობა განმარტა როგორც „სახელმწიფო ან მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების (მიუხედავად იმისა, არის ის საჯარო თუ კერძო-სამართლებრივად მოწყობილი) საქმიანობის სფერო, რომელიც არც კანონშემოქმედებაა, არც მართლმსაჯულება და არც მთავრობა არ არის“. ამ მეთოდის თანახმად: ა) ორგანიზაციული გაგებით, საჯარო მმართველობა არის იმ ორგანოთა ერთობლიობა, რომლებიც არ მიეკუთვნება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების შტოებს; ბ) ფორმალური გაგებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის საჯარო მმართველობის მატერიალურ შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველთვის საჯარო მმართველობად მიიჩნევა; გ) მატერიალური გაგებით კი იგივე მეთოდით მოიაზრება სახელმწიფო საქმიანობის სფერო, რომელიც დაკავშირებული არ არის საკანონმდებლო, სასამართლო ან პოლიტიკურ (სამთავრობო) საქმიანობასთან.“<sup>68</sup>
- „საჯარო მმართველობის პოზიტიური განსაზღვრის მეთოდი ცდილობს იმის თქმას, თუ სინამდვილეში რა არის საჯარო მმართველობა. ზოგიერთი ავტორი საჯარო მმართველობას განმარტავს როგორც სახელმწიფოებრივი მიზნის განხორციელებას ცალკეული შემთხვევის დონეზე (ჰანს პეტერსი), ან როგორც სოციალურ მოწესრიგებას (უსაფრთხოებასა და სტაბილურობას) კანონისა და სამართლის საფუძველზე (ერნსტ ფორშჰოპი), ან როგორც პოლიტიკური

<sup>66</sup> ტურავა კ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016, 106.

<sup>67</sup> ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტების გამოცემები, ავტორთა კოლექტივი, ტომი IV, თბ., 2018, 64.

<sup>68</sup> იქვე, 64-65.

გადაწყვეტილებების გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ აღსრულებას (ფრანც-ჯოზეფ პაინე).ზოგიერთი ავტორი საჯარო მმართველობის ცნების პოზიტიურ დეფინიციასში მოიაზრებს როგორც ორგანიზაციულ, ისე მატერიალურ ასპექტებს, რომლის თანახმად, „საჯარო მმართველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და მათზე მიკუთვნებული სუბიექტების (სსიპ-ი, დელეგირებული კერძო პირები და ა.შ.) მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, წინასწარ განსაზღვრული მიზნების და სამართლებრივი ბოჭვის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა“. ხშირ შემთხვევაში ხდება საჯარო მმართველობის ნეგატიური ცნების კომბინირება პოზიტიურ ცნებასთან, რომლის თანახმად, საჯარო მმართველობა ჯერ აღწერილია პოზიტიურად, ხოლო მერე განსაზღვრულია ნეგატიურად, რომ ის არც კანონშემოქმედებაა, არც მართლმსაჯულება და არც პოლიტიკური ხასიათის ღონისძიება.“<sup>69</sup>

„ხელისუფლების შტოების სისტემაში საჯარო მმართველობის გამოყოფის იდეა (ნეგატიური დეფინიციის მეთოდი), რომელიც ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების და ძალაუფლების დეკონცენტრაციის პრინციპს, მართალია, სახელმწიფო საქმიანობის კონკრეტულ სფეროს მიაკუთვნებს ხელისუფლების კონკრეტულ (აღმასრულებელ) შტოს, თუმცა ის არასრულყოფილია და ბოლომდე ვერ აღწევს იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება ჩვენ გვანტერესებდეს: ა) პირველი, არ განმარტავს იმას, რაც სინამდვილეში ადმინისტრაციული მეცნიერების ემპირიული ინტერესის სფეროს მიეკუთვნება, არამედ ცდილობს მხოლოდ იმის იდენტიფიცირებას, რაც ამ სფეროს არ მიეკუთვნება; ბ) მეორე, საჯარო მმართველობა ხორციელდება არამარტო აღმასრულებელი, არამედ ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ, რომლებიც თავიანთ ძირითად ფუნქციებს ვერ განახორციელებენ, თუ კი მათ არ ექნებოდათ ადმინისტრაციული ნაწილი. გ) მესამე, საჯარო მმართველობა არის სახელმწიფოებრივი ცხოვრების არა რაღაც ნარჩენი, არამედ ცენტრალური ნაწილი და მისი დაკნინება დეფინიციის დონეზეც დაუშვებელია; დ) და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სისტემებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არსებობდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ადგილი ჰქონდა ძალაუფლების კონცენტრაციას, საჯარო მმართველობას (ადმინისტრაციას, სახელმწიფო მმართველობით აპარატს) იმ სისტემაშიც თავისი ადგილი ჰქონდა, სადაც სახალხო საბჭოებისა და სოციალისტური მართლმსაჯულების გვერდით არსებობდა ასევე აღმასრულებელი ფუნქციის მქონე საქმიანობა, ანუ საჯარო მმართველობა. თუმცა, ცხადია, ეს არ ადასტურებს იმას, რომ ამ სისტემებში საჯარო მმართველობა დემოკრატიულ შინაარსს ატარებდა.“<sup>70</sup>

<sup>69</sup> *ყალიბავა კ.*, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტების გამოცემები, ტომი IV, 2018, 65-66.

<sup>70</sup> იქვე, 66.

„რაც შეეხება პოზიტიური დეფინიციის მეთოდს, ის ასევე პრობლემურია, ვინაიდან შეუძლებელია ერთი კონკრეტული ცნებით მოცული იქნას საჯარო მმართველობის მრავალფეროვანი ასპექტები. ამიტომ როგორც ადმინისტრაციულ მეცნიერებაში, ისე ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში უფრო მისაღებ მეთოდად მიიჩნევა საჯარო მმართველობის აღწერის მეთოდი, ნაცვლად მისი დეფინიციისა. საჯარო მმართველობის აღწერა გულისხმობს იმ ტიპიური გამოვლინებების იდენტიფიკაციას და ანალიტიკურ შეფასებას, რაც მისთვის არის დამახასიათებელი. რაში გამოიხატება ამ მეთოდის უპირატესობა? ამ მხრივ, ცხადია, რომ თუ ადმინისტრაციული მეცნიერების საგანი არის საჯარო მმართველობის სინამდვილე, ამდენად, ცხადია, სინამდვილე სწორედ აღწერის მეშვეობით ხდება შესაძლებელი. საჯარო მმართველობის ცნების სრულყოფილი განსაზღვრებით კი სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ: 1) პირველ რიგში, საჯარო მმართველობის გაგება ღია უნდა დარჩეს საჯარო მმართველობის ახალი გამოვლენის ფორმების და ცალკეული სფეროების (განათლების, საზოგადოებრივი წესრიგის, ენერჯის, გარემოს დაცვის, ურბანული დაგეგმარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ა.შ.) სპეციფიკურად დანახვის მიმართ, სადაც კანონმდებელი საჯარო მმართველობის შინაარსს, როგორც წესი, სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით განსაზღვრავს; 2) მეორე, ადმინისტრაციული მეცნიერების მიზნებისათვის საჯარო მმართველობის ფორმალური განმარტება ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე საჯარო მმართველობის „რეალურ სამყაროში“ ფუნქციონირების არსის გარკვევის მცდელობა, იმ ფორმებისა და აქტივობების განსაზღვრა, რითაც ხორციელდება საჯარო მმართველობა ან რომელშიც ჩართულია ის, ასევე, იმ გარე ფაქტორების (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ.) გამოკვეთა, რომლებიც გავლენას ახდენს მის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე. ცხადია, შეუძლებელია ისეთი დეფინიციის შემუშავება, რომელიც ერთიანად მისაღები იქნებოდა საჯარო მმართველობის შემსწავლელი ცალკეული მეცნიერებისათვის.“<sup>71</sup>

„თანამედროვე საჯარო მმართველობა, ასევე, გულისხმობს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას კერძო პირების მიერ ასეთი უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე“.<sup>72</sup>

საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრის მიზნიდან გამომდინარე კანონმდებელმა შემოიტანა სპეციალური ტერმინი. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო“ არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

<sup>71</sup> *ყალიბავა კ.*, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტების გამოცემები, ტომი IV, 2018, 66-67.

<sup>72</sup> *ტურავა პ.*, საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველები სახელმძღვანელო, ავორთა კოლექტივი, თბ., 2016, 106.

ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია შედგება ორი ნაწილისაგან. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალურ გაგებას.<sup>73</sup>

აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობა ემყარება მნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებსაც მათი წარმომავლობის გათვალისწინებით, აქვს კონსტიტუციური რანგი. კერძოდ, საჯარო მმართველობა ემყარება შემდეგ პრინციპებს: თანაზომიერების პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობა, უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპი, კანონიერი ნდობის პრინციპი.<sup>74</sup>

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაა ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესში დაიცვას ზემოაღნიშნული პრინციპები.

### **3.1. ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა საჯარო მმართველობის დროს**

საჯარო დაწესებულებების მიერ ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა საჯარო უწყებებისადმი მოქალაქეთა ნდობის განმტკიცების პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულია პირის უფლება - კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.<sup>75</sup> ამასთან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ხოლო 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი

<sup>73</sup> ტურავა პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, ავორთა კოლექტივი, თბილისი, 2016, 108-109.

<sup>74</sup> იქვე, 109-111.

<sup>75</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.

პირის უფლებას, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას განამტკიცებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი, რომლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მის მიერ შერჩეული ფორმით და კანონით დადგენილ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე.

„დღესდღეობით, აღიარებულია, რომ საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, ან, სხვაგვარად, უფლება ინფორმაციაზე, საერთაშორისო სამართალში დაცულია როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება - გამოხატვის თავისუფლება.“<sup>76</sup> „ამ მიმართულებით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ტენდენცია წარმოადგენს საინტერესო კონტრასტს. რამდენიმე ადრეულ გადაწყვეტილებაში, დაწყებული 1987 წლის *Leander v. Sweden* საქმით, სასამართლომ ინფორმაციაზე წვდომის უფლების არ განიხილა გამოხატვის თავისუფლების უფლების ჭრილში, და განმარტა, რომ „ინფორმაციის თავისუფლება ფაქტობრივად უკრძალავს ხელისუფლებას პირის შეზღუდვას იმ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც სხვა პირებს სურთ ან შეიძლება სურდეთ გაუმხილონ მას. მე-10 მუხლი იმ პირობებში, რაც წარმოდგენილია განსახილველ საქმეში, არ ანიჭებს პირს უფლებას ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე და არ ასახავს ხელისუფლების მიმართ ინფორმაციის პირისათვის გამხელის ვალდებულებას. ხოლო, 2009 წელს ევროპულმა სასამართლომ შეცვალა მიმართულება და, მიუხედავად დასაბუთების კომპლექსურობისა, დაიწყო ინფორმაციის თავისუფლების კონვენციის მე-10 მუხლის სფეროში აღიარებისათვის საფუძვლის ჩაყრა. შემდგომ წლებში მან ასევე სცადა უფრო ნათლად გადმოეცა აღნიშნული პრაქტიკა. „დიდი პალატის გადაწყვეტილებით საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary* სასამართლომ განსაზღვრა, რომ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი უნდა იყოს ტრადიციული გაგებით გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა. სასამართლომ ასევე განსაზღვრა სამი სხვა პირობა: პირველი, „განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია, მონაცემი ან დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო ინტერესის ტესტს,“ ან უფრო ნათლად, განმცხადებელმა უნდა მოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ინტერესის მიზნისათვის. მეორე, რაც ასევე მჭიდრო კავშირშია ზემოთ მოცემულთან, რომ განმცხადებლის როლი

<sup>76</sup> *მენდელი ტ.*, სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, 2017, 3 <<https://idfi.ge/ge/court-decisions-in-georgia-how-to-negotiate-the-minefield-between-access-and-respect-for-privacy>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

„ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოებაში მისი გავრცელებისთვის უნდა იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.“ საბოლოო კრიტერიუმი კი არის, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს „მზა და ხელმისაწვდომი“ იმ გაგებით, რომ ხელისუფლებას იგი ხელთ უნდა ჰქონდეს და არ სჭირდებოდეს მისი შეგროვება.“<sup>77</sup>

ამასთან, მედიის თავისუფლების მიმართულებით ეუთოს წარმომადგენლისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ამერიკის შტატების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 2002 წლის ერთობლივ დეკლარაციაში განისაზღვრა, რომ „საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას, რომელსაც საჭიროა მიენიჭოს შესაბამისი ეფექტი მაქსიმალური საჯაროობის პრინციპზე დაფუძნებული, თანმიმდევრული შიდა კანონმდებლობის მეშვეობით (მაგალითად, კანონები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ), სადაც იარსებებს პრეზუმფცია, რომ ყველა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ექვემდებარება მხოლოდ გამონაკლისთა ვიწრო სისტემით შეზღუდვას.“<sup>78</sup>

კონცეპტუალურად ნათელია, რომ ორი უფლების განხილვისას, რომელთაც არ გააჩნიათ აბსოლუტური ხასიათი, როგორებიცაა გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, უნდა დადგინდეს გარკვეული სახის ბალანსი, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს ამ უფლებების შეზღუდვისა და ჩარევის ტესტს, იმის განსაზღვრისათვის, თუ რომელ უფლებას მიენიჭოს უპირატესობა მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში. აღნიშნული განსაკუთრებულად საინტერესოა მაშინ, როდესაც უფლებათა შეზღუდვის სამართლებრივი ტესტი თითქმის იდენტურია. ხსენებული სახეზეა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემთხვევებშიც.

საჯარო რეესტრის მონაცემები, ამომრჩეველთა სიები, საჯარო მოხელეების დეკლარაციები, არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო მედიისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ გამჭვირვალობისა და კორუფციის საკითხებზე. ამ რესურსების საშუალებით შესაძლებელია საჯარო პირთა ნათესაური კავშირების გადამოწმება, მათ მიერ დაგროვებული ქონების შემოწმება და ა.შ. არასამთავრობოებისა და მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ ბაზებზე რაიმე სახის შეზღუდვა სერიოზული დარტყმა იქნება გამჭვირვალობაზე.

---

<sup>77</sup> *მენდელი ტ.*, სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, 2017, 3-5 <<https://idfi.ge/ge/court-decisions-in-georgia-how-to-negotiate-the-minefield-between-access-and-respect-for-privacy>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>78</sup> იქვე.

მაშინ, როდესაც სამოქალაქო სექტორი საჯარო უწყებების მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობაზე მიუთითებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი იწყებს დისკუსიას საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესაძლო შეზღუდვაზე. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ „მონაცემთა გასაჯაროება და პერსონალური მონაცემების ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომობა ხშირად გარკვეული უხერხულობის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ზიანის მომტანია მონაცემთა სუბიექტებისთვის“. საუბარია მონაცემთა ბაზებზე, რომელში დაცული ინფორმაციის მიმართაც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს და, შესაბამისად, უწყებები უზრუნველყოფენ მათ ხელმისაწვდომობას ვებსაიტებზე: [napr.gov.ge](http://napr.gov.ge); [voters.cec.gov.ge](http://voters.cec.gov.ge); [declaration.gov.ge](http://declaration.gov.ge); [privatization.ge](http://privatization.ge) და სხვა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი 2018 წლის ანგარიშში მიუთითებს, რომ „აღნიშნული ბაზების მარეგულირებელი კანონმდებლობა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს შეზღუდვას ბაზებში განთავსებული პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ვებგვერდების ტექნიკური ფუნქციონალიც ნაკლებად შეიცავს მონაცემთა მოპოვების შემზღუდავ მექანიზმებს“.<sup>79</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თავადაც განმარტავს, რომ მოცულობითი მონაცემთა ბაზები საჯარო დაწესებულებებში განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების ეფექტიანობის, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა უსაფრთხოების, უფლებების დაცვის, შემოსავლებისა და გადასახადების ადმინისტრირების, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა თუ კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ლეგიტიმური მიზნებით იქმნება. თუმცა, ამავდროულად, მიზანშეწონილია, „მონაცემთა ბაზის საჯაროდ გამოქვეყნების შემთხვევაში კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოსაქვეყნებელი პერსონალური მონაცემების მოცულობა, მათი მოძიების კრიტერიუმები, შემდგომი დამუშავების მიზნობრიობა და გამოქვეყნების ვადები“.<sup>80</sup>

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების, საჯარო მოხელეთა დეკლარაციების და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საჯაროობის პრობლემატური საკითხები და გადაჭრის გზები.

### **3.2. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის საჯაროობისას პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შეზღუდვა**

<sup>79</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში, 2018, 33, <<https://personaldata.ge/ka/press/post/5047>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>80</sup> იქვე.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ერთ-ერთი აქტუალური საკითხია თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების განუსაზღვრელი ვადით საჯაროობა.

საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება და საჯაროობა მნიშვნელოვანია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. დეკლარაციების საჯაროობა ამცირებს კორუფციის შანსს და შესაძლებლობას იძლევა გაკონტროლდეს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობა. თუ დეკლარაციაში აისახება თანამდებობის პირის ქონების სწრაფი ზრდა მაშინ მას შესაძლოა მოეთხოვოს შესაბამისი ახნა-განმარტების გაკეთება, ამასთან, ზემდგომ თანამდებობის პირს აქვს ინფორმაცია მისი თანამშრომლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც მას შეუძლია განსაზღვროს აღნიშნული პირის კონკრეტულ გადაწყვეტლებებში მონაწილეობის მიღების მიზანშეწონილობა.<sup>81</sup>

დეკლარაციის შევსების მიზნებია:

- პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების გზით გამჭირვალობისა და მოქალაქეთა ნდობის უზრუნველყოფა;
- საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა ინტერესთა შეუთავსებლობის თავიდან აცილება;
- პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგი არალეგალური გამდიდრების თავიდან აცილების მიზნით.<sup>82</sup>

აღსანიშნავია, რომ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების გასაჯაროებამ უკმაყოფილება გამოიწვია სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად, 1960-იან წლებში ამერიკის რამდენიმე შტატში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებმა უარი განაცხადეს მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე და დატოვეს თანამდებობები. ასევე, 2005 წელს, რუმინეთში რამდენიმე მოსამართლემ დატოვა თანამდებობა იმ საფუძველით, რომ მათ მოსთხოვეს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება. გერმანიაში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ვალდებულება გავლენას

<sup>81</sup> *Messik r.*, Income and assets declarations: Issues to consider in developing a disclosure regime, Anti Corruption Resource Centre, 2009, 6-7.

<sup>82</sup> OECD (2011), Asset declarations for public officials: A tool to prevent corruption, OECD publishing, 2011, 12 <<http://www.oecd.org/corruption/anti-bribery/47489446.pdf>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

მოახდენდა წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაზე, იქიდან გამომდინარე, რომ მცირე მეწარმეები, იურისტები და სხვა დამოუკიდებელი პროფესიის მქონე ადამიანები უარს იტყოდნენ პარლამენტის წევრობაზე.<sup>83</sup>

თანამდებობის პირის ქონებრივი ინფორმაციის გასაჯაროების მთავარ უარყოფით მხარედ მიიჩნევა ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა. სულ მცირე ოთხ სახელმწიფოში - ჩილეში, გერმანიაში, რუმინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადგილობრივმა სასამართლოებმა განიხილეს თანამდებობის პირის ქონებრივი ინფორმაციის გასაჯაროებისას კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირების საკითხი. ერთი გამონაკლისის გარდა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ თანამდებობის პირების მიერ ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებით არ ირღვეოდა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და საჯარო ინტერესი წონიდა კერძო ინტერესს. გამონაკლისი იყო კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ განმარტა, რომ თანამდებობის პირების მიერ ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც არ შეეხებოდა მათ პროფესიულ საქმიანობას წარმოდგენდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.<sup>84</sup>

2006 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 148 ქვეყნიდან 43 ქვეყანაში მოითხოვდნენ, რომ არ გასაჯაროებულყოფოთ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, დარჩენილი ქვეყნების ერთი მესამედი მოითხოვდა ინფორმაციის სრულ გამოქვეყნებას, ხოლო ორი მესამედი - ინფორმაციის მხოლოდ საჯარო სამსახურებისათვის წვდომას.<sup>85</sup> სახელწიფოთა ნაწილმა არჩევანი შეაჩერა საჯარო და არასაჯარო გამოქვეყნების შერეულ ვარიანტზე, მაგალითად ა.შ.შ.-ს აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლებიდან მხოლოდ მთავრობის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და პრეზიდენტის მიერ დანიშნული სხვა თანამდებობის პირები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო დარჩენილი 90 პროცენტი თანამდებობის პირთა ქონებრივი ინფორმაცია საჯაროა მხოლოდ შესაბამის საჯარო დაწესებულებისათვის. მეორე ვარიანტის თანახმად, საჯაროვდება მხოლოდ ინფორმაციის ნაწილი, მაგალითად, კანადის პარლამენტარები ასაჯაროებენ მხოლოდ იმ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც აღემატება 10 000 კანადურ დოლარს. ხოლო, მესამე ვარიანტის თანახმად, მაგალითად ბოლივიაში თანამდებობის პირის ქონებრივი

<sup>83</sup> OECD (2011), Asset declarations for public officials: A tool to prevent corruption, OECD publishing, 2011, 12 <<http://www.oecd.org/corruption/anti-bribery/47489446.pdf>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>84</sup> იქვე.

<sup>85</sup> იქვე.

მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ იმ პირს, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული ინფორმაციის მიღების საჭიროებას.<sup>86</sup>

საქმეში *WYPYCH v. POLAND* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პოლონეთის ადგილობრივი საბჭოს წევრის საჩივარი, რომელიც უარს ამბობდა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებაზე და აღნიშნავდა, რომ ამით ირღვეოდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. სასამართლომ განმარტა, რომ სამართლებრივი დანაწესით, რომელიც საჩივრის ავტორს ავალდებულებდა მისი და მისი მეუღლის ქონებრივი მონაცემების გასაჯაროებას, არ ირღვეოდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ვინაიდან, ქონებრივი მონაცემების გასაჯაროების ვალდებულება განსაზღვრული იყო კანონით, ემსახურება სამართლებრივი მიზნის მიღწევას და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>87</sup>

რაც შეეხება საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციებთან დაკავშირებულ სამართებრივ რეგულირებას, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების წარდგენის ვალდებულებას განსაზღვრავს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, „პირი (იგულისხმება კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირები) ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“<sup>88</sup> კანონი დეკლარაციის წარდგენისათვის განსხვავებულ ვადებს უწესებს პარლამენტის წევრს (კანდიდატად რეგისტრაციიდან 1 კვირა), მოსამართლეობის კანდიდატს (საქართველოს რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეობის მიზნით განცხადების წარდგენიდან 7 დღე) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 3 დღე).<sup>89</sup>

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც იმავე საჯარო დაწესებულების

<sup>86</sup> OECD (2011), Asset declarations for public officials: A tool to prevent corruption, OECD publishing, 2011, 9-10 <<http://www.oecd.org/corruption/anti-bribery/47489446.pdf>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>87</sup> *Wytych v. Poland*, [2005] ECHR, App. no 2428/05, 10.

<sup>88</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>89</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლის მე-5, მე-5<sup>1</sup> და მე-5<sup>2</sup> პუნქტები.

სისტემაში დროებით დაკისრებული აქვს თანამდებობის პირის ფუნქციების შესრულება კონკრეტული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა.<sup>90</sup>

„თანამდებობის პირი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას ავსებს წელიწადში ერთხელ. თუ პირს შევსებული აქვს დეკლარაცია და, ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმდინარე წლის განმავლობაში კვლავ წარმოიშვა დეკლარაციის შევსების საფუძველი, თანამდებობის პირი თავისუფლდება დეკლარაციის ხელმოწერედ შევსების ვალდებულებისაგან.“<sup>91</sup>

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას პირისა და მისი ოჯახის წევრების შესახებ: ა) პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტა; ბ) პირის სამსახური, დაკავებული თანამდებობა, სამსახურის მისამართი, ტელეფონის ნომერი; გ) პირის, მისი ოჯახის წევრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, პირთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი; დ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი, ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, საერთო ფართობი და ადგილდებარეობა; ე) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან/და შენატანის, ნაღდი ფულადი თანხის გარდა), რომელთაგან თითოეულის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება, – მესაკუთრის ვინაობა (თუ ნივთი საერთო საკუთრებაშია – აგრეთვე თანამესაკუთრის ვინაობა და პირის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა), შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა და გადახდილი საფასურის ოდენობა; ვ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, მესაკუთრის ვინაობა, ფასიანი ქაღალდის სახეობა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ნომინალი და რაოდენობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა; ზ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, – ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის ვინაობა, საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების დასახელება, ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა, ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი; თ) პირის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა 4000 ლარს აღემატება, – ფულადი თანხის

<sup>90</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>91</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლის მე-8 პუნქტი.

მესაკუთრის ვინაობა, ფულადი თანხის წყარო და ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში; ი) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობა და არაპირდაპირი მონაწილეობა. საწარმოს საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობისას: საწარმოს საქმიანობაში მონაწილე პირი და მონაწილეობის ფორმა, პარტნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი), საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, მარეგისტრირებული ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, წილის პროცენტული ოდენობა, მონაწილეობის პერიოდი და საანგარიშო წლის განმავლობაში საწარმოდან მიღებული შემოსავლის ოდენობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე); საწარმოს საქმიანობაში არაპირდაპირი მონაწილეობისას: სხვა საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, საქმიანობის სახეობა, პარტნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი), სხვა საწარმოს კაპიტალში ძირითადი საწარმოს წილის პროცენტული ოდენობა; კ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა, – სამუშაოს შესრულებელი პირის ვინაობა, სამსახური, რომელშიც პირს უკავია/ეკავა თანამდებობა ან ასრულებს/ასრულებდა სამუშაოს, თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი, საანგარიშო პერიოდში სამუშაოს შესრულებით მიღებული შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე); ლ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება (გარდა მიღებული საჩუქრისა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის, წილის მინდობის ხელშეკრულება, ღირებულების მიუხედავად), – ხელშეკრულების სახეობა, ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა, ხელშეკრულების საგანი და მისი ღირებულება, ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება, საანგარიშო პერიოდში ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე); მ) პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს – საჩუქრის მიმღების ვინაობა, საჩუქრის გადამცემი, გადამცემის მიმღებთან კავშირი, საჩუქრის სახეობა, საჩუქრის საბაზრო ღირებულება; ნ) საანგარიშო პერიოდში პირის, მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3000 ლარს, ან/და გასავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს, ამ მუხლში აღნიშნული სხვა შემოსავლის ან/და გასავლის გარდა, – პირი, მისი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰქონდა შემოსავალი ან/და გასავალი, შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა და ოდენობა (ღირებულება); ო) საიდუმლო გრაფა – ქონების სახეობა (შინაარსი) და ქონებასთან დაკავშირებული პირის, მისი ოჯახის წევრის ვინაობა, ქონებასთან პირის, მისი ოჯახის

წევრის კავშირი, ქონების საბაზრო ღირებულება ან/და ოდენობა; პ) დეკლარაციის შევსების თარიღი.

ამკარაა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია შეიცავს მთელ რიგ პერსონალურ მონაცემებს, როგორც თავად თანამდებობის პირის, ისე მისი ოჯახის წევრების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაეცნოს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციას, გარდა დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრის, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის ნომრისა, თანამდებობაზე პირველად განმწესებამდე პერიოდისთვის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგი პერიოდისთვის მიკუთვნებული ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა.<sup>92</sup>

საქართველოში არსებული სამართლებრივი რეგულაციების ანალიზიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გასაჯაროების საკითხისაგან განსხვავებით, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის გასაჯაროების საკითხი შედარებით დეტალურადაა მოწესრიგებული კანონმდებლობით. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დეკლარაციების გამოქვეყნების ლეგიტიმურ მიზნებს, დეკლარაციაში შესატანი პერსონალური მონაცემების კონკრეტულ ჩამონათვალს, ასევე, იმ მონაცემების ჩამონათვალს, რომლებიც არ უნდა გასაჯაროვდეს.

მიუხედავად თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგებისა, სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე განთავსებულია 1998 წლიდან წარდგენილი დეკლარაციები, მათ შორის გარდაცვლილი და ყოფილი თანამდებობის პირების დეკლარაციები. შესაბამისად, ვინაიდან, დეკლარაციების გასაჯაროების მიზანია საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლა, თანამდებობის პირთა უკანონო გამდიდრების შემთხვევების და ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა, მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის დატოვების შემდეგ დეკლარაციების საჯაროდ განთავსების კონკრეტული ვადა, უნდა შეფასდეს პირის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი, მათ შორის რამდენად აუცილებელია პირის თანამდებობაზე არყოფნის შემდეგაც ხსენებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და აღნიშნულის

<sup>92</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

მიხედვით აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული ვადა, რომლის შემდეგაც აღარ უნდა იყოს ინფორმაცია გასაჯაროებული.

ასევე, შესაძლებელია განისაზღვროს, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დეკლარაციების გაცნობა შესაძლებელია საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიმართვისა და დეკლარაციის გაცნობის ინტერესის დასაბუთების გზით.

### 3.3. ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დამუშავება

საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტადია ამომრჩეველთა სიების შედგენა და ამომრჩეველთა რეგისტრაციაა. სიების შედგენის მიზანი მოქალაქეთა იმ ნაწილის დადგენაა, რომელიც ფლობს საარჩევნო ხმის უფლებას. ეს სტადია არჩევნების გამოცხადებისთანავე იწყება და, როგორც წესი, ხმის მიცემის პარალელურადაც მიმდინარეობს, დამატებითი სიის შედგენის გზით. მაგრამ, არის ერთეული ქვეყნები (ავღანეთი, სირია და სხვა), სადაც არ არის ამომრჩეველთა სია, არჩევნების დღეს ამომრჩეველი პირადობის მოწმობას წარადგენს, რომელზეც კეთდება აღნიშვნა არჩევნებში მონაწილეობაზე.<sup>93</sup>

ამომრჩეველთა სიების შედგენისას გამოიყენება ორი მეთოდი - სავალდებულო და არასავალდებულო რეგისტრაცია. სავალდებულო რეგისტრაციის დროს (დიდი ბრიტანეთი, გერანია, ინდოეთი, იტალია რუსეთი, შვედეთი, შვეიცარია), საჯარო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან დადგინონ ყველა ამომრჩეველი და შეიყვანონ სიაში. არასავალდებულო, ანუ როგორც მას აგრეთვე უწოდებენ - პირადი ნებაყოფლობითი რეგისტრაცია, რომელიც საარჩევნო ორგანოებში ამომრჩეველთა ნებაყოფლობითი განცხადების საფუძველზე ხორციელდება (აშშ, ესპანეთი, მექსიკა), მათ შორის კანადაში, ე.წ. „კარდაკარ“ შემოვლის პრინციპით. თუმცა, ისე როგორც კონსტიტუციური სამართლის ბევრ სფეროში, აქაც მკვიდრდება ე.წ. შერეული ვარიანტები.<sup>94</sup>

თავად ამომრჩეველთა სიები, მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, კვალიფიცირდება მუდმივ, პერიოდულ და ფიქსირებულ სიებად. მუდმივი სიები დროის ხანგრძლივ მონაკვეთისათვის დგება და მასში ცვლილებები მხოლოდ ამომრჩევლის გარდაცვალების ან მიგრაციის შემთხვევაში შედის. მაგალითად, აშშ-ში მუდმივი სიის სრული გადახედვა ყოველ 10-12 წლის შემდეგ არის გათვალისწინებული.<sup>95</sup>

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

<sup>93</sup> *მელქაძე ო.*, საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში, თბ., 2015, 107.

<sup>94</sup> იქვე, 108.

<sup>95</sup> იქვე.



რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია, რომელიც იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით.<sup>96</sup>

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამომრჩეველის შესახებ შემდეგი მონაცემები: ა) გვარი, სახელი; ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი); გ) მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, რომელიც მოიცავს აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრაციის ადგილს); დ) საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; ე) ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის, აგრეთვე პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით, აღინიშნება დროებითი საცხოვრებლის მისამართი; სხვა სახელმწიფოში მყოფი პირისთვის მიეთითება „საკონსულო აღრიცხვაზე“, ხოლო თუ ასეთი პირი არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე – „იმყოფება უცხოეთში“); ვ) ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი; ზ) ფოტოსურათი (სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული უახლესი ფოტოსურათი ციფრულ ფორმატში); თ) სქესი.<sup>97</sup>

ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის, მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის (გვარი, სახელი; ფოტოსურათი; დაბადების თარიღი; მისამართი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირისთვის, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული პირისთვის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილი პირისთვის და პირისთვის, რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით; ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველის რეგისტრაციის თარიღი) ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის.<sup>98</sup>

„საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის წესი“<sup>99</sup> განსაზღვრავს, რომ ამომრჩეველთა სია განთავსებული უნდა იყოს საჯაროდ, რაც მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას გაეცნონ აღნიშნულ სიას და მოითხოვონ დაშვებული უსწორობის გასწორება ან მონაცემთა დამატება. ამომრჩეველთა სიის საჯაროდ განთავსება მიჩნეულია მნიშვნელოვან ნაბიჯად გამჭვირვალობისა და ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესების

<sup>96</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>97</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>98</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>99</sup> Council of Europe, Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines and Explanatory Report (Science and Technique of Democracy), January 1, 2003.

კუთხით. აღნიშნული სახელმწიფოს შესაძლებლობას მისცემს შექმნას სია, რომელშიც ასახული იქნება მოქალაქეთა შესახებ სწორი ინფორმაცია, ამასთან, ნაკლები იქნება შანსი იმის, რომ მოქალაქე არ იყოს რეგისტრირებული სიაში. სიის საჯაროდ განთავსება, ასევე, უზრუნველყოფს მის ლეგიტიმურობასა და ხარისხის გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მაგალითად, დანიაში ამომრჩეველთა სიები არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი, მათ შორის არც პოლიტიკურ პარტიებს აქვთ უფლება გაეცნოს მას.<sup>100</sup>

ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ გამჭვირვალობასთან ერთად უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით სახელმწიფოთა ნაწილმა დააწესა შეზღუდვები, რომლებიც შეეხებოდა ამომრჩეველთა სიის საჯაროდ განთავსებას. მაგალითად, 2001 წელს გერმანიამ გაატარა რეფორმა, რომლის დროსაც შეიცვალა ამომრჩეველთა სიის საჯაროდ განთავსების წესი. თუ 2001 წლამდე ამომრჩეველთა სია იყო საჯარო და ხელმისაწვდომი ყველასთვის, გერმანიამ რეფორმის შემდგომ, მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ამომრჩეველთა სიაში შესწორების მოთხოვნის უფლება მინიჭა თავად ინფორმაციის სუბიექტს, სხვა ამომრჩევლის ინფორმაციის შესწორების მოთხოვნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას.<sup>101</sup>

დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა სია ხელმისაწვდომია ყველასთვის, მაგრამ გათვალისწინებულ იქნა მოქალაქის უფლება მოითხოვოს საჯაროდ განთავსებული სიიდან მისი მონაცემების წაშლა.<sup>102</sup>

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის გამჟღავნება ხდება ცესკოს ვებგვერდზე - <https://voters.cec.gov.ge>, რომელზეც პირადი ნომრისა და გვარის მითითების და ე.წ. „მე არ ვარ რობოტი“ უსაფრთხოების ველის მონიშვნის შემდეგ დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი ხდება ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი და მისამართი. ვებგვერდზე მითითებულია, რომ ის განკუთვნილია მხოლოდ ამომრჩეველთათვის - საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადასამოწმებლად, თუმცა საგულისხმოა, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდასთან ერთად მითითებული უსაფრთხოების

---

<sup>100</sup> EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON ELECTORAL LAW AND ELECTORAL ADMINISTRATION IN EUROPE, Strasbourg, 12 June 2006, 15-6, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2006\)018-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2006)018-e)> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> იქვე, ასევე, იხ. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესი <https://woking.gov.uk/elections-and-voting/voting/electoral-and-open-register>.

მექანიზმი შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისგან სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>103</sup>

ამასთან, საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, კანონით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციას, ამომრჩეველს უფლება აქვთ, გაეცნონ ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. ამასთან, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფოტოსურათებიანი ვერსია დასახელებულ პირებს გადაეცემათ მხოლოდ ელექტრონული სახით. უფლებამოსილმა პირმა სიის მისაღებად შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო მოცულობის მქონე ინფორმაციის ელექტრომატარებელი, ხოლო ელექტრონული სახით გადაცემული მონაცემების შემდგომი დამუშავება, მაგ. დაჯგუფება, საარჩევნო უბნის თუ სხვა კონკრეტული ნიშნით თავისუფლად არის შესაძლებელი.<sup>104</sup>

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა საკითხის შესწავლის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით გაარკვია, რომ 2018 წელს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტოსურათებიანი ვერსია საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში 11 სუბიექტს, მათ შორის, 6 პოლიტიკურ გაერთიანებას და 5 დამკვირვებელ ორგანიზაციას გადაეცა.<sup>105</sup>

2018 წლის საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემების (ფოტოსურათის, რეგისტრაციის მისამართისა და მასთან ერთად ამავე მისამართზე რეგისტრირებული პირების შესახებ) სხვა მიზნებით გამოყენების არაერთი შემთხვევა. აღნიშნულ ბაზას აქტიურად იყენებენ ე.წ. სესხის ამომღები ორგანიზაციები და კერძო დეტექტივები. მართალია, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადამოწმებისთვის განკუთვნილ გვერდზე მითითებულია, რომ: „ვებგვერდი განკუთვნილია მხოლოდ ამომრჩეველთათვის - საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადასამოწმებლად!“, თუმცა კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას გამოქვეყნებული მონაცემების შემდგომი დამუშავების შეზღუდვის თაობაზე.<sup>106</sup>

<sup>103</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში, 2018, 50-51, <<https://personaldata.ge/ka/press/post/5047>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>104</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>105</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში, 2018, 50-51, <<https://personaldata.ge/ka/press/post/5047>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>106</sup> იქვე, 35.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ადგენს ამომრჩეველთა შესაძლებლობას გაეცნონ საჯაროდ განთავსებულ ამომრჩეველთა სიას, თუმცა არ ადგენს სიის გამოყენების წესს, მიზნებსა და აკრძალვებს. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესდეს სანქციები ამომრჩეველთა სიის არაკანონიერად გამოყენებისთვის.

ასევე, მიზანშეწონილია მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა მოითხოვონ მათი მონაცემების წაშლა საჯაროდ განთავსებული ამომრჩეველთა სიიდან, ან/და განისაზღვროს, რომ მხოლოდ თავად მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება გაეცნოს ამომრჩეველთა სიაში მითითებულ მის მონაცემებს და მოითხოვოს მისი შესწორება.

### **3.4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული პერსონალური მონაცემები**

საჯარო მმართველობის პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული ინფორმაციის, მათ შორის პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაციის საჯაროობის საკითხი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, როგორც ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით შექმნილი ადმინისტრაციული ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციასთან ერთად, არის რეგისტრირებული მონაცემების და რეესტრში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯაროობა.

ამ უმნიშვნელოვანესი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მინიჭებით, კანონმდებელმა მას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფა და მისი საჯარო წესრიგთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა დააკისრა. სწორედ ამიტომ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს და მასზე სრულად ვრცელდება ზოგადად მმართველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ამავე კოდექსით დადგენილი უმნიშვნელოვანესი პრინციპები, მათ შორის კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის პრინციპები.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მოიცავს პირის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას, კერძოდ პირის სახელსა და გვარს, პირის საიდენტიფიკაციო მონაცემს - პირად ნომერს, საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავი ნივთის ზუსტ მისამართს, ფართობს და ა.შ. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, რომელთა გაცნობაც ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, ასევე, შეიცავს პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებულ პირად ან/და ფინანსურ ინფორმაციას (მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში - ნასყიდობის ფასს, სამკვიდრო მოწმობის

შემთხვევაში - პირის პირად საიდუმლოს მიკუთვნებულ ინფორმაციას), აღნიშნული დოკუმენტაცია შესაძლოა შეიცავდეს ინფორმაციას პირის მხარდაჭერის მიმდებარე ყოფნის, მშობლის უფლების შეზღუდვის/ჩამორთმევის, დამნაშავედ ცნობის, ნასამართლობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამასთან დოკუმენტაციაზე არ იმტრიხება პირთა ხელმოწერები.

უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მონაცემების საჯაროობის თვალსაზრისით ყველაზე ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა ნიდერლანდები. დაწესებული საფასურის მოთხოვნის გარდა კანონმდებლობა სხვა შეზღუდვას არ ითვალისწინებს, კერძოდ, საჯაროა როგორც რეგისტრირებული მონაცემები, ისე რეგისტრაციის საფუძვლად არსებული დოკუმენტაცია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას პირის პირადი ნომრის, დაბადების თარიღისა და ადგილის, ასევე, ოჯახური მდგომარეობის შესახებ. 90-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ ყოფილა მსჯელობა, რეგისტრირებულ მონაცემებში მითითებული პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სამართლებრივი რეგულაციების შემუშავებაზე, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემატურად რჩება.<sup>107</sup>

ინგლისში მიწის რეგისტრირებული მონაცემები არასდროს ყოფილა ისეთი საჯარო როგორც ის დღეს არის. 2002 წლის მიწის რეგისტრაციის აქტის თანახმად, ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გაეცნოს რეგისტრირებული მონაცემების ამონაწერს, ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც ინახება მარეგისტრირებელ ორგანოში და დაკავშირებულია რეგისტრირებულ მონაცემებთან, ასევე - ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია თავად პირთან. ამასთან, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გადაიღოს ზემოაღნიშნული დოკუმენტების ასლები. 2002 წლის მიწის რეგისტრაციის აქტი ითვალისწინებს, რომ აღნიშნულ უფლებასთან მიმართებით შესაძლოა დაწესდეს გამონაკლისები და განისაზღვროს მისი გამოყენების წინაპირობები, მაგალითად დაწესდეს საფასური.<sup>108</sup>

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 5 ნოემბერს ინგლისის მარეგისტრირებელმა ორგანომ გააუქმა რეგისტრირებულ მონაცემებსა და დოკუმენტებზე ონლაინ წვდომის შესაძლებლობა. აღნიშნული შეზღუდვის მიზეზი გახდა გამოძიება, რომლის დროსაც დადგინა, რომ გაყალბებულ იქნა ონლაინ განთავსებულ დოკუმენტზე დატანილი მესაკუთრის ხელმოწერა. აღნიშნული შეზღუდვა მიჩნეულ იქნა დადებით ნაბიჯად, ვინაიდან, შემცირდა რეგისტრირებული მონაცემების არამართლზომიერად გამოყენების რისკი.<sup>109</sup>

---

<sup>107</sup> Berlee A., Access to personal data in public and registers, 2018, 1, 213, <<https://dspace.library.uu.nl/handle/1874/366323>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>108</sup> იქვე, 286-287.

<sup>109</sup> იქვე, 291.

2003 წლის მიწის რეგისტრაციის აქტით რეგისტრირებული მონაცემების საჯაროობასთან დაკავშირებით დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, დაინტერესებული პირის მოთხოვნით გასაჯაროებას არ ექვემდებარება ე.წ. „ამოღებული დოკუმენტაცია“ (exempt information document). ინფორმაციის დაფარვა ე.წ. „ამოღება“ ხდება მხოლოდ ორ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი დაადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია მისთვის ზიანის მომტანია ან/და მის კომერციულ ინტერესს აყენებს ზიანს. აღნიშნულ შემთხვევაშიც თუ მესამე პირი მოითხოვს ე.წ. „ამოღებული დოკუმენტაციის“ გაცნობას, მარეგისტრირებელი ორგანო თავიდან აფასებს უნდა იყოს თუ არა დოკუმენტაცია დახურული, ასევე, აფასებს კერძო და საჯარო ინტერესებიდან, რომელი მეტად არის დაცვის ღირსი.<sup>110</sup>

საჯაროობის პრინციპი, ასევე, არ ეხება დოკუმენტაციას, რომელიც ჩანაცვლებულია სხვა შეცვლილი დოკუმენტაციით, ან, რომელიც წარმოადგენს სასამართლო აქტებს, გადახდისუნარიობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.<sup>111</sup>

ზემოაღნიშნული მოდელებისგან განსხვავებით გერმანიაში არსებული მოდელი შედარებით დახურულია, კერძოდ, მარეგისტრირებელი ორგანო რეგისტრირებულ მონაცემებს გადასცემს მხოლოდ იმ პირს, რომელიც დაადასტურებს, რომ მას აღნიშნული ინფორმაციის მიმართ გააჩნია სამართლებრივი ინტერესი. ხოლო, კონკრეტული პროფესიისა და თანამდებობის მქონე პირების მიმართ არსებობს სამართლებრივი ინტერესის ქონის პრეზუმცია. კერძოდ, საჯარო მოხელეებს, მიწის მესაკუთრეებსა და ნოტარიუსებს უფლება აქვთ გაეცნონ რეგისტრირებულ მონაცემებსა და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცულ დოკუმენტებს იმის დასაბუთების გარეშე, რომ მათ გააჩნიათ სამართლებრივი ინტერესი. სამართლებრივი ინტერესის ტესტის მიხედვით აღნიშნული გულისხმობს პირად ინტერესს, ფინანსურ ინტერესს, ოჯახურ ინტერესს და საჯარო ინტერესს.<sup>112</sup>

- პირად ინტერესში იგულისხმება თანამესაკუთრის, სხვისი საკუთრების შეზღუდული სარგებლობის უფლების მქონე, ყოფილი მესაკუთრის, დამქირავებლის, მეზობლის, იურისტის, მკვლევარის, პოტენციური მყიდველის, აუქციონზე შემძენის და უძრავი ქონების აგენტის ინტერესები.
- ფინანსური ინტერესი შესაძლოა იყო კრედიტორების, აქციონერების და ბანკების ინტერესები.
- ოჯახური ინტერესები გულისხმობს შვილების, მშობლების, ანდერძის აღმასრულებლის, ყოფილი მეუღლის, გერისა და მემკვიდრის ინტერესებს.

<sup>110</sup> Berlee A., Access to personal data in public and registers, 2018, 1, 288, <<https://dSPACE.library.uu.nl/handle/1874/366323>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>111</sup> იქვე, 290.

<sup>112</sup> იქვე, 297-330.



- საჯარო ინტერესი მაგალითად გულისხმობს პრესის ინტერესს. ინდივიდს ნაკლებად აქვს შესაძლებლობა დაადასტუროს, რომ მას გააჩნია საჯარო ინტერესი, გამონაკლისი შესაძლოა იყოს ბლოგერი ან დამოუკიდებელი ჟურალისტი.<sup>113</sup>

ზემოაღნიშნული ქვეყნების რეგულაციების შედარების შედეგად შესაძლოა ითქვას, რომ გერმანიის მოდელი არის ყველაზე მისაღები და ოპტიმალური, რომლის დროსაც დაბალანსებულია საჯაროობის პრინციპი და მესაკუთრის ინტერესები.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ სამართლებრივ რეგულაციას, „საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაციის გაცნობის თაობაზე კონკრეტული, სხვა სახის სამართლებრივი რეგულაცია საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ არის ჩასმული სამართლებრივ ჩარჩოში და მოწესრიგების გარეშეა დარჩენილი. აღსანიშნავია რომ, ზემოაღნიშნულ მუხლში არსებული ჩანაწერი - „გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა“ პრაქტიკაში არ არის მოქმედი, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს მასთან დაცულ ნებისმიერ დოკუმენტაციას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

აღსანიშნავია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა და სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც უსაფუძვლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ქმედების განხორციელების დავალდებულების თაობაზე. უდავოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა კონკრეტულ უძრავ ნივთებზე გახსნილი სააღრიცხვო ბარათებისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცემა. აღნიშნული დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელისათვის არ გადაუცია.<sup>114</sup>

<sup>113</sup> Berlee A., Access to personal data in public and registers, 2018, 1, 288, <<https://dspace.library.uu.nl/handle/1874/366323>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

<sup>114</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე №3/ზ-445-2012 წ.



ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განჩინებით განმარტა, რომ საჯარო რეესტრში, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში დაცული ინფორმაციის საჯაროობა შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, რაშიც იგულისხმება კერძო სფეროსთან დაკავშირებული საკითხების, მათ შორის კონფიდენციალურობის დაცვა, შესაბამისად, აპელანტს არ ჰქონდა უფლება გაცნობოდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტაციას.<sup>115</sup>

ასევე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა და ძალაში დარჩა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაცემაზე აურის თქმის შესახებ. მოსარჩელეს უარი ეთქვა კონკრეტულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად არსებული ნასყიდობის ხელშეკრულებების გადაცემაზე.<sup>116</sup>

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ინფორმაციის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი უფლება, ვინაიდან მისი შეზღუდვის ფარგლებს აწესებს თავად საქართველოს კონსტიტუციაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 24.4 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ ასევე მიუთითა ინფორმაციის თავისუფლების უფლების შეზღუდვის საფუძვლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე, სამოქალაქო უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე და მიიჩნია, რომ მხარის მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომლის გაცემის განსაკუთრებული პროცედურასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.<sup>117</sup>

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საჯაროობაზე ყურადღებას ამახვილებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და 2018 წლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიშში აღნიშნავს, რომ „არაერთი მოქალაქე ინტერესდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების ხელმისაწვდომობით.

<sup>115</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე №3/ზ-445-2012 წ.

<sup>116</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №3-387/12.

<sup>117</sup> იქვე.

მოქმედი კანონმდებლობით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ქვეყნდება უძრავი ქონების მესაკუთრეთა მონაცემები, კერძო ორგანიზაციის მესაკუთრის, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემები, ასევე, ორგანიზაციის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია მათ შორის განცხადებების წარმდგენი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. სააგენტოს მიეცა რეკომენდაცია ზოგადად შეეფასებინა ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების ალგორითმული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმები და უსაფრთხოების საკითხები.<sup>118</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებებისა, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული დოკუმენტაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს და კონკრეტულად დარეგულირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ დოკუმენტაციაში ასახული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის წესი.

მართალია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს სამოქალაქო ბაზრის უსაფრთხოება და გამჭვირვალობა, თუმცა აღნიშნული მიზნის მისაღწევად არაპროპორციულად იზღუდება კერძო პირების ინტერესები და მათი პერსონალური მონაცემები. სამართლებრივი საფუძველი არსებობს, თუმცა, საჭიროა შეფასდეს პერსონალური მონაცემების ამ მოცულობით გასაჯაროების მიზანი და აუცილებლობა

პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნიდან გამომდინარე მართებულია დაიშტრიხოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული ისეთი პერსონალური მონაცემები, რომლებიც აუცილებელი არ არის სამოქალაქო ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული არ არის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნამდვილობის დასადგენად. ამასთან, შესაძლოა დანერგილ იქნეს გერმანიაში მოქმედი რეგულაცია, რომელიც გულისხმობს დოკუმენტაციის გადაცემას იმ პირთათვის, რომლებიც დაადასტურებენ სამართლებრივი ინტერესის ქონას. ასევე, მიზანშეწონილია დაიშტრიხოს დოკუმენტაციაზე მხარეთა მიერ დაფიქსირებული ხელმოწერები და დოკუმენტაციის მესამე პირებზე გაცემისას საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიუთითოს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ.

<sup>118</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში, 2018, 34-36, <<https://personaldata.ge/ka/press/post/5047>> მოძიების თარიღი [01.07.2019].

## დასკვნა

კვლევის ფარგლებში, შესაბამის არგუმენტებზე დაფუძნებული მსჯელობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც იძლევიან პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების არათანაზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას. ასევე, რიგი საკითხები არასრულყოფილადაა მოწესრიგებული და საჭიროებს შემდგომში კვლევასა და დახვეწას, მოწინავე ქვეყნების მაგალითებისა და გამოცდილების გაზიარების გზით. სახელმწიფოს არამხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური გამოწვევაა, დასავლური გამოცდილების მაგალითზე შეიმუშავოს კონტროლისა და საჯარო ინტერესთა ადეკვატური ბალანსის სისტემა.

საჯარო მმართველობის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით პრობლემატურ საკითხად რჩება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული დოკუმენტაციის/ინფორმაციის საჯაროობა. ვინაიდან, კანონმდებლობა ითვალისწინებს სააგენტოში დაცული მონაცემების სრულ საჯაროობას, აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს და კონკრეტულად დარეგულირდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცულ დოკუმენტაციაში ასახული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის წესი. საკანონმდებლო ნორმების შემუშავების პროცესში უნდა დადგინდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი და აღნიშნულის საფუძველზე განისაზღვროს სამართლებრივი რეგულაციები. აუცილებელია, განხილულ იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული პერსონალური მონაცემების დამტრიხვის საკითხი. მართალია, აღნიშნული მოითხოვს დამატებით ადმინისტრაციულ რესურსს, რადგან, სააგენტოში დაცული დოკუმენტაციის სიმრავლიდან და მოქალაქეების დიდი ინტერესიდან გამომდინარე აუცილებელი გახდება დამატებითი სამსახურის/განყოფილების შექმნა, თუმცა პერსონალურ მონაცემთა დაცვა პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გარდა პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკა, ვინაიდან, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გავლენა არ მოუხდენია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე.

რაც შეეხება თანამდებობის პირთა დეკლარაციებისა და ამომრჩეველთა სიების საჯაროობას, აღნიშნული საკითხი საქართველოს კანონმდებლობით შედარებით დეტალურადაა მოწესრიგებული. მიუხედავად ამისა, არსებული მოწესრიგბა საჭიროებს დახვეწას, აუცილებელია, მსჯელობა იმის თაობაზე, თუ უფლების შეზღუდვის რამდენად პროპორციული და აუცილებელი საშუალებებია გამოყენებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ პერსონალური მონაცემების დაცვა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში კვლავ რჩება გამოწვევად, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას და სიღრმისეულ კვლევას.

## ბიბლიოგრაფია

- გამოყენებული ქართული ლიტერატურა

კონსტანტინე კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები. სტატიათა კრებული,(რედ. კონსტანტინე კორკელია) თბ., 2010.

ნინო საგინაშვილი, პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სტატიათა კრებული (რედ. კონსტანტინე კორკელია), თბ. 2015.

ირაკლი კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) თბ., 2013.

თამარ ქალდანი, ნინო სარიშვილი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა საქართველოში, სტატიათა კრებული (რედ. კორკელია კ.) 2016.

თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013.

კონსტანტინე კორკელია, პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა - ტომი 7, №1, თბ., 2004.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რა უნდა ვიცოდეთ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის შესახებ, 2018.

ძირითადი უფლებების ევროპული კავშირის სააგენტო, ევროპის საბჭო, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართალი, თარგმანი ინგლისურიდან მ. გომამის, რედ. მ. ბეგიაშვილი, 2015.

პაატა ტურავა., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016.

კობა ყალიჩავა, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტების გამოცემები, ავტორთა კოლექტივი, ტომი IV, თბ., 2018

ტობი მენდელი, სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის, 2017.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ ანგარიში, 2018.

ოთარ მელქაძე, საარჩევნო სამართალი მსოფლიო პრაქტიკაში და ქართულ მოდიფიკაციებში, თბ., 2015.

- **გამოყენებული უცხოენოვანი ლიტერატურა**

Berlee A., Access to personal data in public and registers, 2018.

COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON ELECTORAL LAW AND ELECTORAL ADMINISTRATION IN EUROPE, Strasbourg, 12 June 2006

Hustinx P. "EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation" 2014.

Handbook on European Data Protection law, 2018.

Kokott J., Sobotta K., The distinction between privacy and data protection in the jurisprudence of the CJEU and the ECtHR, International Data Privacy Law, 2013, Vol. 3, No. 4.

Messik r., Income and assets declarations: Issues to consider in developing a disclosure regime, Anti Corruption Resource Centre, 2009.

OECD (2011), Asset declarations for public officials: A tool to prevent corruption, OECD publishing, 2011.

DE HERT P. & GUTWIRTH S., Data Protection in the Case Law of Strasbourg and Luxemburg: Constitutionalisation in Action, Dordrecht, 2009.

Council of Europe, Code of Good Practice in Electoral Matters: Guidelines and Explanatory Report (Science and Technique of Democracy), January 1, 2003.

- **გამოყენებული ნორმატიული მასალა**

„ასოციაციის შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის” 2014

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია)

საქართველოს კონსტიტუცია

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

- **სასამართლო გადაწყვეტილებები**

CASE OF NIEMIETZ v. GERMANY (App. 13710/88) 16 December 1992.

Case Of Peck v. The United Kingdom [2003], ECHR, App, no 44647/98.

Case of Bernh Larsen Holding AS and Others v. Norway (App. No 24117/08) 14 March 2013.

Amann v. Switzerland, [2000] ECHR, App. no 16188/07, 50. Kopp v. Switzerland, [1998].ECHR, App, no 3224/94, 55. Lordachi and Others v. Moldova. [2009], ECHR, App, no 25198/02.

Leander v. Sweden, [1987], ECHR, App, no 9248/81.

Case of Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, [2016] ECHR, App. no18030/11.

Wypych v. Poland, [2005] ECHR, App. no 2428/05.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინება, საქმე №3/ზ-445-2012 წ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №3-387/12.